ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №147

2011 წლის 25 ნოემბერი
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2011 წლის 04 ნოემბრის №-01-10/4191 წერილით ითხოვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრების უფლებით გადაეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ჩაქვი, ბათუმის ქუჩის მიმდებარედ 2361 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შემდგომში ეფექტურად განკარგვის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ჩაქვი, ბათუმის ქუჩის მიმდებარედ 2361 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. (ს/კ 20.48.02.055).

2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს უზრუნველყოს უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და გადაცემული ქონების მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების გატარება.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე